საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/4310
30/06/2026

4310-01-2-202606300923

თათია ჩხაიძეს (პ/ნ

მის.: ქ. თბილისი

ელ-ფოსტა.: tata

ტელ.:

მოგახსენებთ, რომ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ატარებს შესაბამის ღონისძიებებს, მათ შორის:

- შეისწავლის მომხმარებლის ამ კანონით დადგენილი უფლების შესაძლო დარღვევის ისეთ ფაქტს, რომელმაც გამოიწვია ან შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევა;
- საქმის შესწავლის მიზნით განმცხადებლისგან ან/და მოვაჭრისგან გამოითხოვს ინფორმაციას (მათ შორის, კონფიდენციალურ ინფორმაციას), რომელიც სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სჭირდება;
- უფლებამოსილია საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუღებლობის შემთხვევაში სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა მოვაჭრის მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის შესახებ;
- იწვევს მხარეებს/დაინტერესებულ პირებს ახსნა-განმარტებების მისაღებად.

თქვენს განცხადებასთან დაკავშირებით სააგენტოს მიერ მოვაჭრისგან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებებთან მიმართებით, რის საპასუხოდაც მოვაჭრემ წარმოადგინა პოზიცია. მოვაჭრის განმარტებით, მათ შეისწავლეს სავაჭრო ობიექტის ვიდეოჩანაწერები, საიდანაც ირკვევა, რომ მოწყობილობის ყუთიდან ამოღება და გახსნა მოხდა უშუალოდ თქვენი თანდასწრებით. თქვენ დეტალურად დაათვალიერეთ ნივთი და დათვალიერების მომენტში მასზე კოსმეტიკური დაზიანება არ გამოვლენილა. შესაბამისად, ნივთის შეძენა მოხდა თქვენ მიერ მისი შეფასების შემდგომ.

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge
www.gcca.gov.ge

გიგზავნით მოვაჭრის პოზიციას და თანდართულ ვიდეომასალას. გთხოვთ, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოთ თქვენი საპასუხო პოზიცია და მტკიცებულებები (მაგალითად: ტექნიკური დასკვნა/ექსპერტიზის დასკვნა), რაც გააბათილებს მოვაჭრის მტკიცებას და დაადასტურებს ნივთის თავდაპირველ ნაკლს.

დანართი: 2 გვერდი და 1 ვიდეოფაილი.

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE